ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5467378

ნომერი: AR1818601

თარიღი : 19.04.2021

გაცემის თარიღი : 24.06.2021

გაცნობის თარიღი : 25.06.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება აეროპორტი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ქურთაული პ/ნ 01001092185
- თბილისი მუხიანი I მ/რ კორ. 15 ბ. 30

ნომენკლატურა :

- საწყობი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საწყობი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ჯემალი ჩიკვაიძე
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ნიუ მაქს
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404957597

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: რ.ს.ე.დ.
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406257633
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: რობერტ მაშაევი

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 20001015568

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5227789
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 18.12.2020

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

1. არქიტექტურის სამსახური მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით. აღნიშნული კოდექსის თანახმად, მშენებლობის ორგანიზების პროექტი (რომელიც მოიცავს მშენებლობის განხორციელების კალენდარულ გრაფიკს), წამოადგენს მშენებლობის პროექტის განუყოფელ ნაწილს და დამკვეთისათვის სავალდებულოდ შესასრულებელ დოკუმენტს. ამავე კოდექსის შესაბამისად, მშენებლობის ცალკეული ეტაპების დამთავრების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია (საეტაპო ოქმი) დადგენილი წესით წარედგინება მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს, ხოლო, კოდექსის 123-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოში საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობა წარმოადგენს სამშენებლო სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველს. სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის ეტაპის დასრულების თაობაზე მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოსათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების თაობაზე ასევე განმარტებული გქონდათ თავად მშენებლობის ნებართვაში, სამსახურის 18.12.2020 წლის №5227789 ბრძანებით. ამჟამად წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და თქვენივე განმარტებით დგინდება, რომ მშენებლობის ორგანიზების პროექტით გათვალისწინებული ეტაპების შესრულების ვადა დაღვეულია - მშენებლობის ეტაპები არათუ დასრულებული, არამედ დაწყებულიც არ არის და შესაბამისად, არ არის შესრულებული საჯარო ზედამხედველობის ორგანოში საეტაპო გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი ოქმის წარდგენის ვალდებულება. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 112-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან, სახეზეა სამშენებლო სამართალდარღვევა, სამსახური მოკლებულია მშენებლობის ნებართვაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას, სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის გარეშე. აღნიშნული ნორმები წარმოადგენს კანონდებლობის სავალდებულო მოთხოვნას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება

2.წარმომადგენელის არსებობის შემთხვევაში მინდობილობა/რწმუნებულება. -> .მინდობილობა/რწმუნებულების pdf ფაილი. : წარმოდგენილი მინდობილობა ვადაგასულია. საჭიროა ძალაში მყოფი მინდობილობის წარმოდგენა.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების

შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.